


ნანა იოსელიანი
სოფიო ქებურია

ხელოვნება 8

მოსწავლის წიგნი

ნაწილი I



გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მიერ 2020 წელს.

სარჩევი

1 საზოგადოება და ხელოვნება



რენე მაგრიტი,
„გოლკონდა“, 1953 წ.

ხელოვნება საზოგადოების სამსახურში	7
1. თანამედროვე საზოგადოების გამოწვევები	8
2. ხელოვნება პოლიტიკის სამსახურში	10
3. ხელოვნება ომის წინააღმდეგ	18
4. ხელოვნება სოციალურ პრობლემებზე	26
5. ხელოვნება რელიგიის სამსახურში	34
6. ახალი სახვითი ენა	40
7. ქრისტიანული საქართველო	52
8. ისლამური ხელოვნება	62
9. მხატვრობა	68
10. სპარსული კერამიკა	76
11. ხელოვნება განათლების სამსახურში (კალიგრაფია)	78
12. მინიატურა	80
13. ქრისტიანული საკულტო არქიტექტურა	90
14. დასავლეთ ევროპის საკულტო არქიტექტურა	100
15. რელიგიური დეკორი	108

1

საზოგადოება და ხელოვნება



რენე მაგრიტი, „გოლკონდა“, 1953 წ.

ხელოვნება საზოგადოების სამსახურში

- რა შეიძლება გავიგოთ სხვადასხვა ეპოქისა და კულტურის საზოგადოებების შესახებ ხელოვნების საშუალებით?
- რა ფაქტორები ახდენს გავლენას ხელოვნების ნიმუშის იერსახეზე?
- რა მხატვრული ხერხებით გვიამბობს ხელოვნება ამბავს?
- რას ემსახურება ხელოვნება სხვადასხვა ეპოქაში?
- რით განსხვავდება სხვადასხვა დროის საზოგადოების მიერ შექმნილი ხელოვნება ერთმანეთისგან?
- რა როლი აქვს ხელოვნებას საზოგადოების ცხოვრებაში?
- რა როლი აქვს საზოგადოებას ხელოვნების ფორმირებაში?
- როგორ შეიძლება გადმოვცეთ რაიმე მოვლენისადმი ჩვენი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშის საშუალებით?
- რაში გამოგვადგება დღეს ადრეული ეპოქების მხატვრული გამოცდილების ცოდნა?

საზოგადოების მსოფლმხედველობა განსაზღვრავს მის ხელოვნებას, ხოლო ხელოვნება ამ მსოფლმხედველობას ხილულ ფორმას აძლევს.

საზოგადოების რწმენა აისახება თანადროულ ხელოვნებაში, ხოლო ხელოვნება ამ იდეების გავრცელება-დამკვ-იდრებას ემსახურება.

ყველა ადამიანი ერთნაირია – ერთი თავი, ორი ხელი და ორი ფეხი გვაქვს, მაგრამ ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს. სხვადასხვა რამ გვალელვებს, სხვადასხვა რამის გვნამს. სხვადასხვა დროს საზოგადოება სხვადასხვა გამოწვევების წინაშე იდგა, სხვადასხვა პრობლემების გადაჭრა უწევდა. სირთულეებს ხან მშვიდობიანად უმკლავდებოდა, ხან – იარაღით.

თანდათან კაცობრიობის ისტორია ომებისა და ბრძოლების გრძელ ჯაჭვად იქცა. იქნებ ხელოვნებამ გაგვაერთიანოს, ერთმანეთის კულტურის პატივისცემის უნარმა გვაპოვნინოს ამ ციცქნა პლანეტაზე მშვიდობიანად თანაცხოვრების გზა.

რა განასხვავებს ადამიანს სხვა ცოცხალი არსებებისგან?
– შემოქმედების უნარი.
ამ უნარის ერთ-ერთი გამოვლინებაა სახვითი ხელოვნება.

თითოეული ეპოქა თავისი გამოკვეთილი ინტერესებით გამოირჩევა. ხელოვნება, როგორც დროის სარკე, ამ ინტერესების გამომხატველია.


ხელოვნება ხან პოლიტიკის სამსახურშია, ხან – რელიგიის, ხან – კომერციის, ხანაც – განათლების, გართობისა და დასვენების. საზოგადოება ქმნის ხელოვნებას, ხოლო ხელოვნება ქმნის იმ გარემოს, რომელშიც საზოგადოება ცხოვრობს. ეს ურთიერთ-დაკავშირებული, ორმხრივი პროცესია, რომელშიც ვერ იტყვი, ჯერ ქათამი იყო თუ ჯერ კვერცხი.

1. თანამედროვე საზოგადოების გამოწვევები

ლექსიკონი


კაპელა – მცირე
სამლოცველო

როგორია დღევანდელი საზოგადოება? როგორიც ყოველთვის – პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე აფეთქებული კონფლიქტები, რევოლუციები, ომები... თანამედროვე სახელმწიფოები მორიგების გზებს ეძებენ, საზოგადოებები გაერთიანებას ცდილობენ. ხელოვნება სწორედ ის დარგია, რომელსაც შეუძლია, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანების გაერთიანება. იქნებ ხელოვნებამ გადაარჩინოს სამყარო?




მარკ როტკოს „ფიქრის ტაძარი“


განსხვავებული სარწმუნოებებისა და შეხედულებების მქონე ადამიანთა შერიგებას ისახავს მიზნად XX ს-ის ხელოვანის მარკ როტკოს კაპელა. ეს პატარა „ფიქრის ტაძარი“ აშშ-ის ტეხასის შტატის ქ. ჰიუსტონში მდებარეობს. კაპელას კედლებზე მარკ როტკოს მიერ შესრულებული, მოიისფრო-მოლურჯო ფერწერული ტილოები კიდია. მათი ფერი მომნუსხველად მოქმედებს მნახველებზე. ქრისტიანი, იუდეველი, მუსლიმი თუ ბუდისტი გვერდიგვერდ სხედან, ფიქრებში იძირებიან, მშვიდებიან და ამ უცნაური სივრციდან უფრო კეთილები და ერთმანეთის მიმტევებლები გამოდიან. იმისთვის, რომ განსხვავებამ, უთანხმოებამ ომამდე არ მიგვიყვანოს, სხვის საფიქრალს, სხვის კულტურას უნდა ჩავწვდეთ, სხვადასხვა საზოგადოებების პატივისცემა ვისწავლოთ. ამაში კი ხელოვნება დაგვეხმარება. ხელოვანებს ხომ უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის. მაში, შევუდგეთ...



კაპელას ინტერიერი



ინტერიერი



თანამედროვე ბუდისტური ტაძარი
ინდოეთში.

1 დავალება

დააკვირდი ლე კორბუზიესა და როტკოს
ტაძრებს. რა მიგანიშნებს, რომ ისინი
მე-20 საუკუნის ქმნილებებია?

2 იმსჯელე

თანამედროვე საკულტო
არქიტექტურა შუა საუკუნეების
ტრადიციების მიმდევარია.
როგორი წარმოგიდგენია
საქართველოს საკულტო
არქიტექტურა თანამედროვე
შეხედულებების, მასალებისა და
ტექნოლოგიების გათვალისწინებით?



რონშანის კაპელა, საფრანგეთი. არქიტექტორი ლე კორბუზიე

2. ხელოვნება პოლიტიკის სამსახურში

ლექსიკონი

პორელიეფი
მაღალი რელიეფი
ბატალიური ჟანრი
ისტორიული ჟანრის
ქვეუანრი, რომელიც
ბრძოლის სცენას
ასახავს.

სიტყვა პოლიტიკა ბერძნული წარმოშობისაა. ძველ საბერძნეთში ღირებულებათა შორის უპირველესად პატრიოტიზმი მიიჩნეოდა. თითოეული მოქალაქე გრძნობდა საკუთარი ქალაქ-პოლისის ნინაშე პასუხისმგებლობას. პოლისს კი ფიზიკურად და სულიერად მტკიცე, ძლიერი დამცველები სჭირდებოდა. ამ სწრაფვას ხელოვნებაც მოწმობს. ძველი ბერძნული ქანდაკება სწორედ ამგვარ მოქალაქეობრივ იდეალს ამკვიდრებს – ჰარმონიულად განვითარებული ათლეტის, „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულით“! დღევანდელი გადასახედიდან რამდენად სწორად მიგაჩნია ეს მიდგომა?



მირონი, ბადროს
მტყორცნელი,
ძვ.წ. V ს.

პერგამონის ზევსის საკურთხევლის ელინ-ისტური რელიეფი გიგანტებთან ღმერთების ბრძოლას ასახავს. ანტიკურ პლასტიკაში ეს საკმაოდ გავრცელებული მითური სიუჟეტი პოლიტიკურ მოვლენას ეძღვნება. საკურთხევლი მცირეაზიელ მეფე ევმენე II-ის მიერ გალებზე მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად აიგო. ნახევრად ცხოველურ, ველურ გიგანტებში ბარბაროსი გალების ტომი იგულისხმება, ოლიმპოელი ღმერთები კი პერგამის სამეფოს მაღალგანვითარებულ მოქალაქეებს განასახიერებენ. აქ მითიც კი პოლიტიკის სამსახურში დგას!



პერგამონის საკურთხევლის რელიეფი, ძვ.წ. II ს.



კონსტანტინეს თაღი რომში, 315 წ.

რომაელებს თავიანთ უპირველეს მოვალეობად იმპერიის საზღვრების გაფართოება, ახალი მიწების დაპყრობა, სხვა ხალხების დამორჩილება მიაჩნდათ. ხელოვნება მათ მხოლოდ სამხედრო ძლევამოსილების სამსახურში წარმოედგინათ. აკი ამფითეატრებიც კი, რომლებიც თითქოსდა გასართობად იგებოდა, ხალხს სასტიკ სანახაობას სთავაზობდნენ, სისხლის ლვრას რომ შესჩვეოდნენ.

იმპერატორების სამხედრო მიღწევებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების უკვდავსაყოფად რომაელებმა ტრიუმფალური თაღების აღმართვა დაიწყეს. თაღებს ხშირად გამარჯვების ამსახველი ისტორიული რელიეფები ამკობა.

იმპერატორებისადმი მიძღვნილი სვეტების ბატალური რელიეფებიც სახოტბო ისტორიული დოკუმენტებია, ერთგვარი სახვითი მატიანე.

ვაჭრობის წყალობით, რომაული მონეტები იმპერატორის გამოსახულებით სწრაფად ვრცელდებოდა მთელ იმპერიაში და შორეულ კოლონიებს მმართველის ვინაობას აცნობდა.



ტრაიანეს სვეტი, I ს., რომი



სხვადასხვა პერიოდის რომაული მონეტები

ფრანგი მხატვარი ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი (1780-1867) თავის კერპს, საფრანგეთის იმპერატორს ნაპოლეონ ბონაპარტეს აღმატებულ ხარისხში წარმოგვიდგენს. ნაპოლეონი მითური ზევსივით მედიდურად დაბრძანებულა ტახტზე, დაფინის გვირგვინი შარავანდედივით ადგას, ანეულ ხელში ძალაუფლების სიმბოლო – კვერთხი უპყრია. გეგონება, ცოტაც, და მეხი დაიგრგვინებსო.

ხოტბის შესხმა და განდიდება ხშირად გულისხმობს სიმართლის შელამაზებას, პიროვნების იდეალიზაციას.

ლექსიკონი

იდეოლოგია – ღირებულებები და წარმოდგენები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა დამოკიდებულებას სინამდვილისა და ერთმანეთისადმი



ფრანგი მხატვარი ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი, „ნაპოლეონი რეკონსტრუქცია“

1 იმსჯელება

- რით განსხვავდება სხვადასხვა დროის საზოგადოების მიერ შექმნილი ხელოვნება ერთმანეთისგან?
- რას ემსახურება ხელოვნება სხვადასხვა ეპოქაში?

2 დავალება

- რა მიზნით გამოსახავენ ხელოვანები პოლიტიკოსებს?
- რა მხატვრულ ხერხებს მიმართავენ ისინი პოლიტიკოსების განსაღიძებლად?



ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი, „ნაპოლეონი საიმპერატორო ტახტზე“, 1806 წ.

საფრანგეთის რევოლუციას გამოეხმაურა XIX ს-ის ფრანგი მხატვარი ეჟენ დელაკრუა. მისი ფერწერული ტილო „თავისუფლება ბარიკადებზე“ საფრანგეთის რევოლუციის სხვადასხვა ისტორიული მოვლენის პერსონაჟებს აერთიანებს. მათ ქალი მიუძღვის ზეალ-მართული სამფერა დროშით. ნაწარმოები მნახველს უკეთესი მომავლისთვის რევოლუციური ბრძოლისკენ მოუწოდებს.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ყველა დედაქალაქში აღმართული მსგავსი ქანდაკება სოციალიზმის იდეოლოგიას ემსახურებოდა და ხალხში ნათელი მომავლის რწმენას ამკვიდრებდა.

იპოვე ქალღმერთ ნიკეს გამოსახულება პერგამონის რელიეფის ილუსტრაციაზე.

როგორ ფიქრობ, შემთხვევითია თუ გააზრებული დელაკრუასა და მუხინას გმირი ქალების მსგავსება ძველი ბერძნული გამარჯვების ქალღმერთი ნიკეს გამოსახულებებთან?

ეჟენ დელაკრუა, „თავისუფლება ბარიკადებზე“, 1830 წ.



ქალღმერთ
ნიკეს ანტიკური
რელიეფი



ვერა მუხინა,
„მუშა და
კოლმეურნე“,
1937 წ.





XX საუკუნის საბჭოთა
საქართველოს
დროინდელი სააგიტაციო
პლაკატები

საბჭოთა კავშირში არსებობდა სამთავრობო განყოფილება, ე.წ. „აგიტპროპი“. მისი მიზანი აგიტაციისა და პროპაგანდის გზით კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრება იყო. პოლიტიკური მიზნების მისაღწევად კი მათი მთავარი იარაღი ხელოვნება გახლდათ. განყოფილება აკონტროლებდა ბეჭდურ გამოცემებს, ტელევიზიას, კინოს, თეატრს, ლიტერატურას და სახვით ხელოვნებას. აგიტპროპი აწესებდა ცენზურას – წყვეტდა, რა უნდა გამოქვეყნებულიყო და რა – არა.

სააგიტაციო და პროპაგანდისტული ნაწარმოებები სინამდვილეს შელამაზებულად, ნაწილობრივ, ცალმხრივად, შერჩევითად ასახავენ. მარტივად რომ ვთქვათ, ხალხს „თვალში ნაცარს აყრიან“, არსებულ პრობლემებს უმაღლავენ, ატყუებენ. მათი მიზანია ზეგავლენა მოახდინონ ადამიანის პოლიტიკურ არჩევანზე, გადაწყვეტილებაზე და დამკვეთის, ანუ სახელმწიფოს პოზიციაზე დაიყოლიონ. მოწოდებისთვის ისინი ერთნაირ მხატვრულ ხერხებს მიმართავენ. ასეთი პოსტერების ავტორები საზოგადოებისა და მასების ფსიქოლოგიის ცოდნას იყენებენ და ხალხის გრძნობებით მანიპულირებენ. თუ მათ ხრიკებს იცნობ, ანკესზე ადვილად აღარ ნამოეგები.



ჯ. მ. ფლეგი, „მე მჭირდები აშშ-ის არმიაში“. 1917 წ.



ი. თოიძე. „დედა სამშობლო გვეძახის!“ 1941 წ.



ჩინეთის კომუნისტი ლიდერი, დიქტატორი მაო ძედუნი, 1968 წ.



ლექსიკონი

აგიტაცია – სიტყვიერი, ბეჭდვითი ან სახვითი ხერხით საზოგადოების პოლიტიკურ ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენის, აგიტატორის სასარგებლოდ მისი დარწმუნების მცდელობა.

პროპაგანდა – საზოგადოების შეხედულებებზე სიტყვიერად, ლოზუნგით, სახვითი საშუალებებით იდეური ზეწოლა. პროპაგანდა საზოგადოებას აწედის მხოლოდ პოლიტიკურად მომგებიან, არასრულ ინფორმაციას.

ლოზუნგი – მოწოდება; ლაკონიური, ადვილად დასამახსოვრებელი გამონათქვამი.

გერმანული ნაცისტური პოსტერი ადოლფ ჰიტლერის გამოსახულებით, 1936 წ.